

ტელეკომპანია „იმედის“ თვითრეგულირების ორგანოს

ტელეკომპანია „იმედის“ 20 მარტის 14.00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში „ქრონიკა 14 საათზე“ გავიდა [სიუჟეტი](#) სახელწოდებით „ლგბტ თემის წარმომადგენელს თაღლითობაში ადანაშაულებენ“, რომელსაც წამყვანი სწორედ ამ სიტყვებით იწყებს: „ლგბტ თემის წარმომადგენელს გიორგი ჩხარტიშვილს, იგივე მაცაცოს თაღლითობას და მტკიცებულებების გაყალბებას ედავება გამოძიება“. თავად მასალის შინაარსიდან ჩანს, რომ კრიმინალური თემის შინაარსი კავშირში არ არის პირის იდენტიფიკაციასთან და მის მიკუთვნებულობასთან რომელიმე ჯგუფთან. შესაბამისად, იმედის საინფორმაციო გადაცემის წამყვანისა და ჟურნალისტის მიერ მოხდა კრიმინალური ფაქტის დაუსაბუთებელი განზოგადება და ასოცირება ლგბტ თემთან.

მიგვაჩნია, რომ კრიმინალური თემის ასეთი გაშუქებით ტელეკომპანია „იმედმა“ ხელი შეუწყო ლგბტ თემის სტერეოტიპიზაციას და დაარღვია მაუწყებელთა კოდექსი, კერძოდ **მუხლი 31**, რომელიც ამბობს:

მუხლი 31. *მრავალფეროვნებისა, თანასწორობისა და შემწყნარებლობის პრინციპი მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე...*

ასევე მიგვაჩნია, რომ დარღვეულია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის **მუხლი 33.1 და 33.2** რომელიც ამბობს, რომ დაუშვებელია კრიმინალის და უარყოფით მოვლენების გაშუქების დროს დაუსაბუთებელი პარალელების გავლება, პირის ასოცირება მთელ ჯგუფთან:

მუხლი 33.1 *მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლებას, მათ შორის ცალკეული პიროვნებების საქმიანობის ასოცირებას მთელ ჯგუფთან.*

მუხლი 33.2 *მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს უმცირესობების და სოციალური პრობლემების შესახებ არასწორი და შეცდომაში შემყვანი განცხადებების გაკეთებას, ხელი არ უნდა შეუწყოს სტერეოტიპების ჩამოყალიბებას, აუცილებლობის გარეშე არ უნდა აღნიშნოს პირის ეთნიკური წარმოშობა და რელიგიური მრწამსი.*

ასევე მიგვაჩნია რომ დარღვეულია მაუწყებლის კოდექსის **მუხლი 33.4**, რადგან გადაცემის წამყვანმა არა მხოლოდ არათუ მიიღო ზომები კრიმინალური ამბის პირის იდენტიფიკაციის დაუსაბუთებელი მითითების თავიდან ასაცილებლად, არამედ თავად გაუსვა ხაზი მის მიკუთვნებას ლგბტ ჯგუფისადმი.

მუხლი 33.4... „*თუ წყარო პირდაპირ ეთერში ან ახალ ამბებში უსაფუძვლოდ ასახელებს ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ მრწამსს, სექსუალურ ორიენტაციას, ოჯახურ ან ქონებრივ მდგომარეობას, სოციალურ კუთვნილებას, ან ნებისმიერ სხვა ნიშანს, როგორც პრობლემის გამომწვევ მიზეზს ან იყენებს შეურაცხყოფელ ტერმინოლოგიას რომელიმე ჯგუფის მიმართ, წამყვანი არ უნდა აყვეს ასეთ დიალოგს და შეეცადოს შეურაცხყოფელი განცხადების ავტორს დაუსვას შეკითხვა გამოთქმული მოსაზრების დასაბუთების მიზნით*“.

შესაბამისად, მოგმართავთ ტელეკომპანია „იმედის“ თვითრეგულირების ორგანომ განიხილოს აღნიშნული სიუჟეტით მაუწყებელთა ქცევის კოდექსის **მუხლი 31** და ასევე **მუხლი 33 (1; 2; 4)** დარღვევის ფაქტი.

თამარ ხორბალაძე

მედიის განვითარების ფონდი MDF

მარია დარჩიევი

ორგანიზაცია „იდენტიზა“

ლევან ბერიანიძე

ორგანიზაცია „ლგბტ საქართველო“

ეკა ჭითანავა

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი TDI

ედუარდ მარიკაშვილი

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI)

